საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ალექსანდრე კოგანიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	9	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	74	100

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე

თარიღი : 29.04.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 29 აპრილი, ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ალექსანდრე კობაიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ალექსანდრე კობაიძე.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 24 აპრილს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 38 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრი: შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის საერო უნივერსიტეტი, 2008წ; მაგისტრი: სდასუ, 2017წ). სპეციალობით მუშაობს დაახლოებით 10 წელია. კერძოდ: 2014 წლიდან დღემდე - არის ადვოკატი; ასევე - მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ა(ა)იპ ორგანიზაციების (მაგ: ,,ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაცია") მუშაობაში, მათ შორის - დამფუძნებლის/ ხელმძღვანელის რანგში.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია მის საადვოკატო და პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. მედიამ გააშუქა ცნობა კანდიდატის გენერალური პროკურორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ომბუდსმენის, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსებში მონაწილეობის თაობაზე. ხელმისაწვდომია მისი საჯარო განცხადებები. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არის პოლიტიკური პარტია „ხალხის პარტია" დამფუძნებელი/ წევრი; ასევე - 2014 წელს იყო მერობის კანდიდატი, წარდგენილი პარტიისაგან ,,სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა".

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხები, დიდი რაოდენობით ვადაგადაცილებებით და ჯარიმებით. ,,კანდიდატს" ეკუთვნის აგარაკი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მამკოდაში, მიწის ნაკვეთით 600 მ^2. სამეწარმეო რეესტრში არსებული ინფორმაცია არ არის შესაბამისობაში მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან, კერძოდ: დეკლარაციაში არ არის მითითებული კანდიდატის სასესხო ვალდებულებების შესახებ, ასევე - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში მის შესახებ ასახული, გარკვეული ინფორმაცია, კერძოდ:

- დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია, დირექტორი;

- შპს ალექსანდრე კობაიძის საადვოკატო ბიურო, დირექტორი;

- შპს ჯი ემ თივი, მეწილე, დირექტორი;

- ახალგაზრდა უფლება დამცველთა ასოციაცია;

- ა(ა)იპ კობაიძის საქველმოქმედო ფონდი, დირექტორი;

- შპს ლენდს.ჯი, მეწილე, დირექტორი;

- მოძრაობა სოლიდარობა, დამფუძნებელი;

- შპს იურიდიული ჯგუფი ემ-ეი-პი ლიგალი, მამულაშვილი და პარტნიორები, მეწილე.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი 31 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები ვადაგადაცილებითაა გადახდილი, საურავებთან ერთად, ამასთან - 3 შემთხვევაში ჯარიმა გადაუხდელია.

კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა და მონაწილეობს 21 მიმდინარე/ დასრულებულ სამოქალაქო საქმეში; დაზარალებულად ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე არ ყოფილა. სსიპ ადვოკატთა ასოციაციის ცნობით, მის მიმართ შეფარდებული და გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი არ არსებობს.

კანდიდატმა წარმოადგინა სტატია და ნაშრომი, კერძოდ:

- სტატია: „ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დახასიათება“;

- ნაშრომი: „მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში“.

კანდიდატს, მისივე განცხადებით, მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამებში და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა 2014 წელს; 2009-2012 წლებში იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი. არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის (ალმა-მატერის) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს

3. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

კანდიდატის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: https://www.youtube.com/watch?v=L0V0x58o-x8). მას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; თავს არიდებდა გარკვეულ კითხვებზე პასუხის გაცემას. ვერ გაიხსენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება ოჯახური ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესახებ - „გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ", ასევე - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი. ვერ ჩამოაყალიბა სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმატიული ელემენტები, რაც გათვალსწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით. ვერ უპასუხა ნორმის განმარტების შესახებ დასმულ შეკითხვას. ასევე, არასრულად უპასუხა დისკრიმინაციასა და მართლწესრიგის ცნებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს და ა.შ.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 4-ვე მახასიათებლის (არასამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა", გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა" და დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია" - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გაირკვა:

ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული 31 სამართალდარღვევის ჩადენა ადასტურებს, რომ კანდიდატს, როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება; ხოლო დაკისრებული ჯარიმების დაგვიანებით გადახდა და 3 შემთხვევაში საერთოდ გადაუხდელობაც, ასევე - თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიუთითებლობა მეტყველებს იმაზე, რომ კანდიდატს არ ახასიათებს სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა

ვალდებულების შესრულებისას. კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“ (იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების მხედველობაში მიღებით) შეფასებისას საკმარისია დავასკვნა, რომ კანდიდატი არ აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

კანდიდატი არის პრინციპული, შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, მიუკერძოებელია პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, ასევე - სამართლიანია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატის მიერ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებული პირებისათვის აღკეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს 2020 წლის 28 ივნისის განჩინების საჯარო გამოსვლაში „სამარცხვინოდ“ გამოცხადება არ ადასტურებს მის კორექტულობას მისივე პროფესიის მომიჯნავე პროფესიის წარმომადგენელ მოსამართლეებთან ურთიერთობაში. ასევე არ დასტურდება, რომ მას გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამიტომ შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ სამართალწარმოების დროს სხვა შემთხვევაში იქნება შექმნილი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ არ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატს აქვს საქმიანი რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მიმაჩნია, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხი მახასიათებლიდან მხოლოდ ორს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი ალექსანდრე კობაიძე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) ანალიზიდან გაირკვა:

კანდიდატმა ვერ შეძლო მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნის გამოვლენა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შეფასდა **14 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და საადვოკატო საქმიანობის სფეროში მუშაობის გამოცდილებაც. (კანდიდატს არასოდეს უმუშავია სასამართლო სისტემაში). კანდიდატის მიერ შესრულებული ნაშრომების გაანალიზებით დგინდება, რომ კანდიდატი ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, რაც, გადმოცემული აზრის სათანადოდ აღქმას აძნელებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **23 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით. კანდიდატის ნაშრომების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა - ზოგჯერ უშვებს პუნქტუაციურ შეცდომებს, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **18 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. თუმცა, იმის გამო, რომ მას არ აქვს მოსამართლედ ან სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება, შეუძლებელია მივიდე იმ დასკვნამდე, რომ მას აქვს სათანადო მენეჯერული უნარები - იმუშაოს სტრესულ სიტუაციაში და

გაუმკლავდეს მოსამართლის რთული საქმიანობისთვის დამახასიათებელ გამოწვევებს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **9 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში არცთუ ხშირად მონაწილეობს; მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **7 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი პრაქტიკულად არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავდა ღიად და თავისუფლად. ამასთან, არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **3 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატ ალექსანდრე კობაიძეს ვანიჭებ 74 ქულას.

ლევანი თევზაძე